მოგესალმებით,

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მეცნიერების პოპულარიზაციისა და მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით ატარებს ქუინსლენდის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ პროექტ-კონკურსს: **„თეზისი სამ წუთში"**. კონკურსი ამჟამად მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტში ტარდება.

პროექტი „თეზისი სამ წუთში“ გულისხმობს სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების კონკურსს. მონაწილემ 3 წუთში ერთი სლაიდით უნდა შეძლოს კვლევითი ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების პრეზენტაცია.

პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტების დოქტორანტებს, რომელთაც განაცხადების მიღების ვადის დამთავრებისთვის ჯერ კიდევ არ აქვთ დაცული ხარისხი (მიმართულება შეზღუდული არ არის).

პროექტის ფარგლებში გამოვლინდება 3 გამარჯვებული (ჟიურის გადაწყვეტილებით) და ხალხის რჩეული (დამსწრე მაყურებლის ხმების უმრავლესობით). გამარჯვებულ დოქტორანტებს გადაეცემათ ფულადი პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები:

- I ადგილი - 2000 ლარი (დარიცხული)
- II ადგილი - 1500 ლარი (დარიცხული)
- III ადგილი - 1000 ლარი (დარიცხული)
- ხალხის რჩეული - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისგან სიმბოლური საჩუქარი.

საქართველოში პროექტი “თეზისი 3 წუთში“ პირველად 2021 წელს ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა სხვადახვა უნივერსიტეტებისა და მიმართულებების/ფაკულტეტების დოქტორანტებმა მიიღეს. გამარჯვებულები კი ტურიზმის და ბიოქიმიის სფეროებიდან გახდნენ.

გიგზავნით პროექტის „თეზისი 3 წუთში“ დეტალური აღწერის, სარეგისტრაციო ფორმისა და Facebook ღონისძიების ლინკებს და გთხოვთ, აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოთ დოქტურანტურის კურსის სტუდენტებს.

- პროექტის დეტალური აღწერა: https://drive.google.com/file/d/11l3qSCErEZ1QjPwPnhlh2v6bIpAdOp7Y/view?usp=sharing

- სარეგისტრაციო ფორმა: https://forms.gle/6JAW5JHXJZtJUenR8

- Facebook ღონისძიება: https://fb.me/e/1YPzOyHvG

*საკონკურსო განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის **30 ნოემბერი.***

კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

- ელ-ფოსტა: marim.m@sciencelib.ge infopr@sciencelib.ge
- მობილური: 555 13-91-51 - მარიამ მაისურაძე